



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 31-31211811
თარიღი: 30/06/2021

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“

სხდომის ოქმი №5

ქ. ლანჩხუთი 28.06.2021წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის წევრები: ბესიკ ტაბიძე, ვლადიმერ ნანაძე, ზაალ სანაძე, ვენე კვირკველია, გიორგი გვარჯალაძე, კახა ბოლქვაძე, რეზო კვაჭაძე, ციცილო ჩხაიძე.

მოწვეული პირი: მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ბესიკ კუპრაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ბესიკ კუპრაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თამთა ბერიძისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ბესიკ კუპრაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ბესიკ კუპრაძე/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში „2020 -2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ბესიკ კუპრაძე/

5.სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 9 , წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-ს (ს/კ 433642356) დირექტორმა ციცო ჩხარტიშვილმა, რომელმაც ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, მარჯანიშვილის ქ. N11-ში მდებარე 747 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განლაგებული 108, 68 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.56.086)) უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემა.

აღნიშნული ქონება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ა(ა) იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-ს, რომელიც ემსახურება 6-18 წლამდე ასაკის 24 ბენეფიციარს, ქუჩის რისკის მქონე ბავშვს და ხელს უწყობს, მათი სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებას, ასევე ის ახორციელებს მისთვის წესდებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას. უზუფრუქტის ხელშეკრულებას მ/წლის 31 მაისს გაუვიდა ვადა და იურიდიული პირი ითხოვს სარგებლობის უფლების ვადის გაგრძელებას.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თამთა ბერიძისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების

პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, მ/წლის 24 მაისს განცხადებით მომართა მოქალაქე თამთა ბერიძემ, რომელსაც სურვილი აქვს სარგებლობაში აიღოს ქ. ლანჩხუთში, მდინარაძის ქუჩა N2-ში, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.56.072.01.502) პირველ სართულზე მდებარე (N4 37,28კვ.მ.; N5 12,96კვ.მ; N8 13,13 კვ.მ.-სულ 63,37 კვ.მ) ფართი შემდგომში კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის მოსაწყობად. აღნიშნული ფართი აგარიულ მდგომარეობაშია და საჭიროებს კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. მისი განმარტებით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, თამთა ბერიძეს ორი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადასცეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ქ. ლანჩხუთში, მდინარაძის ქუჩა NN2-ში, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.56.072.01.502) პირველ სართულზე მდებარე (N4 37,28კვ.მ.; N5 12,96კვ.მ; N8 13,13 კვ.მ.-სულ 63,37 კვ.მ) ფართი შემდგომში კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის მოსაწყობად.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 6 მაისის N739 და 31 მაისის N885 განკარგულებების საფუძველზე შესული ცვლილების შედეგად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო კერძოდ: ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე 483150 ლარი, თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 25429 ლარი, სულ პროექტის ღირებულებაა 508579 ლარი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების მოწესრიგებაზე (დანართი თან ახლავს) 2100000 ლარი, თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 110527 ლარი, პროექტის ღირებულებაა 2210527 ლარი.

ამასთან შემცირებული იქნა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია 45416 ლარით, მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით 43144 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტით 2272 ლარი. საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტის უზრუნველყოფა გაიზარდოს 20898 ლარით, შემოსავლის ნაწილში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის N147 განკარგულების საფუძველზე. შემოსული წინადადებების განხილვის შედეგად მიზანშეწოლილად ჩაითვა, რომ ჩატარდეს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, კერძოდ; ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში მემორიალის რეაბილიტაცია 8000 ლარი, სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია 20000 ლარი, ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდის რეაბილიტაცია 10000 ლარი, ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია 24000 ლარი, ადმინისტრაციული ღობის მოწყობა 10400 ლარი, გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერის რეაბილიტაცია 5000 ლარი,

შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია 12000 ლარი, სკვერის მოწყობა 10000 ლარი, ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში მემორიალის რეაბილიტაცია 31000 ლარი, აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ეზოს ღობის მოწყობა 50000 ლარი, მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია 15000 ლარი, ქ.ლანჩხუთში გვარჯალაძის ქუჩაზე მრავალბინიანი სახლების ეზოში მინი სტადიონის რეაბილიტაცია 20000 ლარი. ებრალების ქუჩაზე მრავალბინიანი სახლის სადარბაზოს რეაბილიტაცია 5000 ლარი.

ჟორდანის ქუჩაზე სოციალური სამსახურის მიმდებარედ გზის რეაბილიტაცია და თამარ მეფის ქუჩის ორმოვანი შეკეთება 171000 ლარი. ქ.ლანჩხუთში ჩხაიძის ქუჩაზე მინი სტადიონის რეაბილიტაცია 28000 ლარი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია 10000 ლარი. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაცია 95000 ლარი. მუნიციპალიტეტისათვის სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხის ეკონომია 22000 ლარი მიიმართოს სოფელ აცანაში სტიქიის შედეგად დაზიანებული მ. ჩხაიძის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 125000 ლარით მ.შ. ორგ.კოდი 03 01 ოფისის ხარჯი 18000 ლარით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიზარდოს 5000 ლარით, ტრანსპორტის ხარჯი 70000 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 7000 ლარით, ორგ.კოდი 02 02 02 წყლის სისტემის ექსპლოატაციის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდოს 25000 ლარით. ა(ა)იპ ჯანდაცვის ცენტრის სხვა საქონელი და მომსახურების 22000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების ფონდი 22000 ლარით.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების 12 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 12 ლარით. მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 5000 ლარით, ტრანსპორტის მუხლი გაიზარდოს 10000 ლარით. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია გაიზარდოს 5000 ლარით. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა შემცირდეს 12000 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა 12000 ლარით. ა(ა)იპ კულტურის ცენტრის არაფინანსური აქტივების შემცირების 5000 ლარით ხარჯზე გაიზარდოს სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 5000 ლარით. ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის საქონელი და მომსახურების ხარჯის 55000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ხარჯი 55000 ლარით. ა(ა)იპ სპორტული ცენტრის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების 7500 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 7500 ლარით. ბიუჯეტში ხარჯების ზრდის შესაბამისად დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით გფაიზარდოს არაფინანსური აქტივების კლების ხარჯზე შემოსავალი 165000 ათასი ლარით, ჯარიმები და საურავების გეგმის ზრდის ხარჯზე 488084 ლარი, და ასევე ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთიდან 150000 ლარი.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში „2020 -2022 წლების საპილოტერეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“

ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ განკარგულება სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან აღნიშნა რომ 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში პროგრამის პრიორიტეტებისა და საპილოტე რეგიონებისთვის 2021-2022 წლებში განსაკარგი ჯამური თანხის განისაზღვრა. პროგრამის ფარგლებში ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყობა კოლხეთის ეროვნულ პარკთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ელექტროფიციერება მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ამაღლებისა და ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირების მიზნით ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ორაგვეში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოეწყობა ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირების მიზნით.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი

სხვადასხვა

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ კუპრაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე